ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის

Advancing Social Entrepreneurship for Sustainable and Inclusive Society

პორტფელის მენეჯერი

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია ხელს უწყობს, ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: www.csrdg.ge

ინფორმაცია პროექტის შესახებ

2021 წლის მარტში, ევროკავშირის მხარდაჭერით, დაიწყო 36-თვიანი პროექტი სახელწოდებით ***"სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის" ("Advancing Social Entrepreneurship for Sustainable and Inclusive Society"),*** რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციებია: სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), European Venture Philanthropy Association (EVPA), საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (საგა), საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, ხოლო პროექტის ასოცირებული პარტნიორია სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო.

Brot für die Welt · SEA · სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი · საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი · საგა · evpa INVESTING FOR IMPACT · ახალგაზრდობის სააგენტო

პროექტის მიზნებია:

1. გაუმჯობესებული სამართლებრივი გარემოს შექმნა სოციალური მეწარმეობისა და სოციალური გავლენის ინვესტირებისთვის ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკურ დიალოგში ჩართულობით;
2. სოციალური მიზნების მქონე ბიზნესებისა და სოციალური მეწარმეობის კონცეფციის უკეთ გაცნობა და მხარდაჭერა სხვადასხვა სექტორისა და საზოგადოების მიერ;
3. სოციალური მეწარმეობის სტაბილური განვითარება მორგებული დაფინანსების, ეფექტური ტექნიკური დახმარებისა და ქსელური საქმიანობის მხარდაჭერით.

პორტფელის მენეჯერის პოზიციის მიზანი

პორტფელის მენეჯერის მიზანია პროექტის ფარგლებში ფინანსურად მხარდაჭერილი სოციალური საწარმოების პორტფელის მართვა.

ფუნქცია-მოვალეობები

პორტფელის მენეჯერის უშუალო პასუხისმგებლობაა პროექტის მენეჯერის ზედამხედველობით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის საგრანტო კონკურსების მომზადება, გამოცხადება, და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების უზრუნველყოფა;
- დაფინანსებისთვის შერჩეული განაცხადების შესწავლა; შერჩეული სოციალური საწარმოების ადგილზე შესწავლა, საჭიროების შესაბამისად დამატებითი ინფორმაციის მოპოვება;
- დაფინანსებული სოციალური საწარმოების საკონსულტაციო საჭიროებების შესწავლა, და ტექნიკური დახმარების გეგმის შედგენა;
- დაფინასნებული სოციალური საწარმოების ბიზნეს გეგმის სრულყოფაში დახმარება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და თანმდევი კონსულტაციებით უზრუნველყოფა;
- საწარმოს სოციალური შედეგების შეფასების გეგმის შემუშავებაში დახმარება; სოციალური შედეგების გაზომვის და შეფასების უზრუნველყოფა;
- განსახორციელებელი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები, სემინარები და ა.შ.) ხარისხის კონტროლი;
- თითოეული საწარმოს საქმიანობის და ფინასნური ანგარიშების შეგროვება, შემოწმება;
- განხორციელებული საქმიანობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და ანგარიშის მომზადება;
- სხვადასხვა მიმართულებით ტრენერების /ექსპერტების/ მომხსენებლების მოძიება, მათთან მოლაპარაკების წარმოება და საქმიანობის დაგეგმვა;
- საჭიროებისამებრ პროექტის გუნდის მხარდაჭერა სხვადასხვა საქმიანობაში.

პროექტი ითვალისწინებს პერიოდულ მივლინებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

პროდუქტები

- დასაფინანსებლად შერჩეული საწარმოების ბიზნეს გეგმები
- მონიტორინგის ანგარიშები
- საკონსულტაციო მომსახურების ანგარიშები
- საქმიანობის 6 თვიანი ანგარიშები
- მივლინების ანგარიშები;
- ყოველთვიური შევსებული ტაბელი;
- პორტფოლიოში არსებული საწარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

ძირითადი მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი განათლება (ბიზნესის მართვა ან მომიჯნავე სფეროები);

ცოდნა და გამოცდილება

- საწარმოების / სტარტაპების კონსულტანტად მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- საოფისე პროგრამების ცოდნა (Word, Excel, Power Point);
- ტრენერად მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების / სოციალური საწარმოების სპეციფიკის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

უნარ-ჩვევები

- ორგანიზების კარგი უნარი;
- კომუნიკაციის კარგი უნარი, განსაკუთრებით აქტიური მოსმენისა და კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემის უნარი;
- გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- მოლაპარაკების უნარი;
- აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და პრეზენტაციის კარგი უნარ-ჩვევები;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- გამართული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ღირებულებები

- „არ ავნო“ პრინციპის გათვალისწინება საქმიანობის ყველა ეტაპზე;
- ადამიანის ინდივიდუალობისა და პირადი სივრცის პატივისცემა;
- მაღალი მიმღებლობა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ;

- ურთიერთდახმარებასა და გუნდურობაზე ორიენტირებულობა;
- კონფიდენციალობა.

ჩვენ გთავაზობთ

- კეთილგანწყობილ და სტაბილურ სამუშაო გარემოს;
- სოციალური მეწარმეობისა და სოციალური მიზნების მქონე ბიზნესების შესახებ ახალი ცოდნის შეძენას;
- ორგანიზაციულ კულტურას, რომელიც ეფუძნება გუნდურობასა და ურთიერთპატივისცემას;

ანაზღაურება

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალურად, კანდიდატის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ 685 ევროს ექვივალენტის (NET) ფარგლებში.

ტექნიკური დავალების ხანგრძლივობა

საწყის ეტაპზე, გამოსაცდელ ვადად განისაზღვრება 3 თვე (ანაზღაურებადი), პროექტის დასრულებამდე თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივით.